ბინათმესაკუთრეთა

ამხანაგობა „თბილისი 2015“ კრების

ოქმი #4

ქ. თბილისი **25.10.2017**

ამხანაგობა „თბილისი 2015“ მისამართი: ქეთ. დედოფლის გამზ. 68

კრებას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3

კრებას თავმჯდომარეობდა ცისანა ჯორბენაძე (პ/ნ 01027029555)

დღის წესრიგი:

ამხანაგობის წევრების - ქეთევან ჯანელიძის (პ/ნ 01030009620) - ბინა #3, ალექსანდრე აბრამიშვილი (პ/ნ 01028009134) - ბინა #58, სამეურნეო სათავსების ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებობის ფაქტის დადასტურება და მათი მსუბუქი კონსტრუქციით გადახურვაზე თანხმობის გაცემა.

ამხანაგობა ადასტურებს, რომ ამხანაგობის წევრთა, ქეთევან ჯანელიძის (პ/ნ 01030009620) და ალექსანდრე აბრამიშვილის (პ/ნ 01028009134) საკუთრებაშია, ქ. თბილისში ქ. დედოფლის გამზ. #68-ში მდებარე, მრავალბინიან სახლში არსებული (დანართ #1-ში, ნახაზზე მოცემული) დამხმარე ფართები (ტერასა).

ამხანაგობა თანახმაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე განხორციელდეს მსუბუქი კონსტრუქციით გადახურვა.

ამხანაგობის კრების მიერ, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრთა 2/3 თანხმობით.

ოქმს თან ერთვის, დავით ლოსაბერიძის (პ/ნ 01005006844) მიერ შედგენილი ნახაზი, რომელიც წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს.

დანართი: ნახაზი

კრების თავმჯდომარე: ცისანა ჯორბენაძე /ცისანა ჯორბენაძე/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171254163
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.10.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ჟენია ტარტარაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2771600
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	78177933771117

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთ ოქტომბერს მე, ჟენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ქეთევან დედოფლის გამზ.#42, მომმართა ცისანა ჯორბენაძემ, მან წარმოადგინა ბმა "თბილისი -2015"კრების ოქმი 25.10.2017წ.და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ცისანა ჯორბენაძემ (დაბადებული 16.09.1959წ. ლანჩხუთი, პ/# 01027029555, რეგისტრირებული: თბილისი ქეთევან დედოფალის გამზ. N 68 ბ. 100), მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: ინსტრუქციის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმოწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა". შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით შეასრულეს თავისი ხელმოწერა (ერთი ხელმოწერა), რასაც ვამოწმებ ერთ ეგზემპლარად. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.3 და 39.1 მუხლისა.

ნოტარიუსი ჟენია ტარტარაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარიატის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18